გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბორის გოგიჩაიშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 210 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოში". დავესწარი ფრაქციის 5 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 68 საკითხის განხილვაში.

ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი. დავესწარი ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 4 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 12 საკითხის განხილვაში, ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 5 სხდომას მონაწილეობა მივიღე 21 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

2022 წელს ქვახვრელსა და უფლისციხეში გაკეთდა/შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- დაიგო 300 მეტრის სიგრძის სკვერის საფარი;
- დაიგო 850 მეტრის მანძილზე ასფალტის საფარი, ყოფილი კანტორის შენობიდან ხიდამდე და 400 მეტრის სიგრძის საფარი გზაჯვარედინიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.
- სოფელ უფლისციხეში დამონტაჟდა სასმელი წყლის სისტემა.
- დაიხურა უფლისციხის საჯარო სკოლის შენობა ორივე მხარეს, რომელიც იყო ღია მდგომარეობაში და მუდმივად იყო ორმხრივი ქარი, რაც პრობლემას უქმნიდა სკოლის შენობის გათბობას, ასევე შემოიღობა სკოლის ეზო.
- სოფელ ქვახვრელში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა საცხოვერებელი ფართით (კოტეჯით).
- სოფელ ღვარებში შევიძინეთ წყლის მილები და 5ტ ავზი
- სოფელ ოლოზში შემოიღობა სასაფლაო
- სოფელ ბნავისში მოიხრეშა შიდა საუბნო გზები
- სოფელ წედისში გაკეთდა სარწყავი წყლის მილები
- სოფელ ატენში, კერძოდ ,,ფუხაანთ უბანში" დაიგო ბეტონის გზა, ,,ზაოტსა" და ,,ველების" უბანში მოწესრიგდა სარწყავის წყლის მილები.

- ამჟამად სამუშაო პროცედურები მიმდინარეობს ,,დეგეულასა“ და ,,ჭეჭელაანთ“ უბნის ხიდების. ამას გარდა, კეთდება ,,ჯეზირის“ ხიდი ,,გარდატნის“ ჭა.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბორის გოგიჩაიშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი ოქმი

სოფ. ხიდისთავი 2022 წლის 31 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ბორის გოგიჩაიშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი თინათინ ფირანიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ მურალოვა.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბორის გოგიჩაიშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ბორის გოგიჩაიშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ბორის გოგიჩაიშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები,

რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ბორის გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: იოსებ გუსოშვილი, სოლომონ მიდელაშვილი.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა;

საკრებულოს წევრი : ბორის გოგიჩაიშვილი.